საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/3549
07/04/2023

3549-15-3-2-202304071451

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

# რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

## პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეესკალაციის ოთახში განთავსებისას მათი მდგომარეობის მართვაში პრაქტიკული ცვლილებების განხორციელების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] [redacted] საქმე, რომლის თანახმად, პატიმარს, დეესკალაციის ოთახში, კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადის დარღვევით, უწყვეტად ყოფნა მოუწია. ხსენებული საქმის შესწავლამ, კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში მნიშვნელოვანი ხარვეზებისა და პრაქტიკაში, პატიმართა დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიმართულებით, პრობლემების არსებობა.

### ფაქტობრივი გარემოებები

მსჯავრდებული [redacted] მიუთითებს, რომ N6 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს,[1] 2021 წლის 1 ივლისს, საღამოს საათებში გადაიყვანეს დეესკალაციის ოთახში. 4 ივლისს, საღამოს, დეესკალაციის ოთახში ყოფნის მაქსიმალური ვადის - 72 საათის ამოწურვამდე, დაწესებულების ერთ-ერთმა თანამშრომელმა აცნობა,

[1] [redacted] ამჟამად, განთავსებულია N3 პენიტენციურ დაწესებულებაში.

რომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კვლავ უნდა დარჩენილიყო დეესკალაციის ოთახში და სთხოვა დეესკალაციის ოთახიდან გამოსვლა და ისევ უკან შესვლა, რასაც არ დათანხმდა. ხოლო, მას შემდეგ, რაც დეესკალაციის ოთახში განთავსებიდან 72 საათი ამოიწურა, პროტესტის ნიშნად მიიყენა თვითდაზიანება. 2021 წლის 7 ივლისს კი, დააბრუნეს საცხოვრებელ საკანში.

[redacted] თქმით, 2021 წლის 18 ივლისს, საღამოს, კვლავ გადაიყვანეს დეესკალაციის ოთახში. 21 ივლისს, როდესაც იწურებოდა დეესკალაციის ოთახში ყოფნის მაქსიმალური ვადა, დაწესებულების თანამშრომელმა აცნობა, რომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დეესკალაციის ოთახში უნდა დარჩენილიყო. მისი მტკიცებით, კვლავ დაელოდა 72 საათიანი ვადის გასვლას, რის შემდეგაც, პროტესტის ნიშნად, სცადა თვითმკვლელობა.

მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ იგივე განმეორდა 2021 წლის 24 ივლისს, როდესაც დეესკალაციის ოთახში განთავსების მეორე ვადა იწურებოდა. პროტესტის ნიშნად, ისევ სცადა თვითმკვლელობა მას შემდეგ, რაც 72 საათიანი ვადა გავიდა. 26 ივლისს კი დააბრუნეს საკანში.

[redacted] აღნიშნავს, რომ მის მიერ თვითდაზიანების მიყენება და სუიციდის მცდელობა, გამოწვეული იყო დაწესებულების ხელმძღვანელობისა და თანამშრომლების უკანონო ქმედებებით, ვინაიდან, 2021 წლის 1 ივლისიდან 7 ივლისის ჩათვლით და 2021 წლის 18 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით პერიოდში, დეესკალაციის ოთახში უწყვეტად განთავსება, მისი უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.

[redacted] დეესკალაციის ოთახში განთავსების თაობაზე შედგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ 2021 წლის 1 ივლისს, დაახლოებით 17:10 საათზე, მსჯავრდებულმა, [redacted] დააზიანა მის საცხოვრებელ საკანში არსებული ინვენტარი. N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 1 ივლისის N863 ბრძანებით, [redacted], საფრთხის აღმოფხვრამდე განთავსდა დეესკალაციის ოთახში.

დოკუმენტაციის თანახმად, 2021 წლის 1 ივლისის 17:18 საათიდან 4 ივლისის 16:44 საათამდე პერიოდში, [redacted] იყო „აღელვებული". დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის 2021 წლის 4 ივლისის მოხსენებითი ბარათის თანახმად, [redacted] დეესკალაციის ოთახში მოთავსების პერიოდში, კვლავ განაგრძობდა მუქარას თანამშრომლების მისამართით, რომ მიაყენებდა მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას. პირად საუბრებში, ასევე განმარტავს, რომ საკანში ასვლისთანავე, კიდევ დაანთებს ცეცხლს, დაწვავს თავის კუთვნილ ტანსაცმელს და შეეცდება თვითდაზიანების მიყენებას. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, დაწესებულების დებულების 27-ე მუხლის შესაბამისად, 72 საათიანი ვადის გასვლის გამო, ის დაბრუნებული უნდა იქნას საცხოვრებელ საკანში. უსაფრთხოების სამსახური ითვალისწინებს რა მსჯავრდებულ [redacted] მდგომარეობას, სხვა ფაქტობრივ მონაცემებსა და მის უფლებებს, მიზანშეწონილად თვლის, იგი გადაყვანილ იქნას საერთო ტიპის საცხოვრებელ საკანში და გაუგრძელდეს ელექტრონული საშუალებით ვიზუალური მეთვალყურეობა".

N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 4 ივლისის N373 ბრძანებიდან ირკვევა შემდეგი: „მსჯავრდებულ [redacted] მიმართ შეწყდეს დეესკალაციის ოთახში განთავსების 2021 წლის 1 ივლისის N863 ბრძანება და 2021 წლის 4 ივლისს, განთავსდეს საერთო ტიპის საცხოვრებელ საკანში და მის მიმართ, მუდმივად განხორციელდეს ელექტრონული საშუალებით ვიზუალური მეთვალყურეობა".

დაწესებულების უსაფრთხოების ინსპექტორის 2021 წლის 4 ივლისის მოხსენებითი ბარათის თანახმად, „2021 წლის 4 ივლისს, დეესკალაციის N2 ოთახში განთავსებული მსჯავრდებული [redacted] N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების 27-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, 72 საათიანი ვადის გასვლის გამო, მორიგე განწესის წევრებს უნდა გადაეყვანათ მის საცხოვრებელ საკანში. მორიგე განწესის წევრებმა, როდესაც გააღეს დეესკალაციის ოთახის კარი და უნდა გადაეყვანათ მსჯავრდებული [redacted] მის საცხოვრებელ საკანში, იგი სრულიად უმიზეზოდ გახდა აგრესიული, გატეხა პლასტმასის ჯამი და ჯამის ნატეხებით მიიყენა მუცლის არეში რამდენიმე ნაკაწრი ჭრილობა. ასევე, არაერთხელ დაიმუქრა, რომ საკანში შესვლისთანავე, დაამტვრევდა საკანში არსებულ ინვენტარს, თანამშრომლების მიმართ არის აგრესიით განწყობილი და ემუქრება მათ ფიზიკური შეურაცხყოფით. მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, რომ დამშვიდებულიყო და ასულიყო საცხოვრებელ საკანში, არ დამშვიდდა და კვლავ განაგრძო მუქარა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფრთხოების განყოფილება მიზანშეწონილად მიიჩნევს, მსჯავრდებული [redacted] განთავსებული იქნას დეესკალაციის ოთახში, საფრთხის აღმოფხვრამდე და მის მიმართ განხორციელდეს ელექტრონული საშუალებით ვიზუალური მეთვალყურეობა".

N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 4 ივლისის N874 ბრძანებით, [redacted], საფრთხის აღმოფხვრამდე, დეესკალაციიდან გამოყვანის გარეშე, კვლავ დატოვეს დეესკალაციის ოთახში.

დოკუმენტაციის თანახმად, 2021 წლის 4 ივლისის 16:47 საათიდან 7 ივლისის 09:03 საათამდე, [redacted] კვლავ არის „აღელვებული", ხოლო, 7 ივლისის 16:41 საათის მდგომარეობით - „დამშვიდებული". დაწესებულების უფლებამოსილი პირის შესაბამისი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 7 ივლისის N894 ბრძანებით, [redacted] განთავსდა საცხოვრებელ საკანში.

ანალოგიურ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით არის დასაბუთებული [redacted] 2021 წლის 18 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით პერიოდში, დეესკალაციის ოთახში უწყვეტად განთავსება და შედგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

**სამსახურებრივი შემოწმების მასალები**

[redacted] მიერ მითითებულ ფაქტებზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება.

შემოწმების პროცესში, ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ როგორც [redacted] ისე N6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს; გამოთხოვილი და შესწავლილია წერილობითი დოკუმენტაცია; დაარქივდა და დათვალიერდა პატიმრის დეესკალაციის ოთახში ყოფნის ამსახველი ვიდეომასალა.

ახსნა-განმარტებაში, [redacted] დეტალურად მიუთითა დეესკალაციის ოთახში თვითდაზიანებების მიყენებისა და სუიციდის მცდელობის მიზეზებზე.

დაწესებულების თანამშრომლებმა, რომლებსაც შეხება ჰქონდათ მსჯავრდებულთან, მიუთითეს [redacted] მხრიდან აგრესიულ განწყობასა და მის მიერ დეესკალაციის ოთახში თვითდაზიანების, ასევე, სუიციდის მცდელობის ფაქტებზე. ამასთან, უარყვეს ის ფაქტი, რომ თითქოს, დეესკალაციის ოთახში ყოფნის 72 საათიანი ვადის გასვლამდე, მსჯავრდებულს აცნობეს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მისი დეესკალაციის ოთახში დატოვების შესახებ.

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში დათვალიერდა დაარქივებული ვიდეომასალა. დათვალიერების ოქმში დეტალურად არის აღწერილი [redacted] დეესკალაციის ოთახში ჩაყვანისა და მისი იქ ყოფნის პერიოდში განვითარებული მოვლენები. ვიდეომასალით დასტურდება ის გარემოება, რომ მსჯავრდებული, დროის მითითებულ პერიოდებში, უწყვეტად იმყოფება დეესკალაციის ოთახში. მსჯავრდებულის მიერ სუიციდის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა დაწესებულების თანამშრომლების მიერ, თვითდაზიანების მიყენების შემდეგ, იგი მოინახულა ექიმმა. ასევე, დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიების სახით, მის მიმართ გამოყენებული იყო ხელბორკილი. სხვა ტიპის ღონისძიებები დეესკალაციის მიზნით არ გატარებულა.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების საფუძველზე შედგენილი მოხსენებითი ბარათის თანახმად, [redacted] მითითებულ პერიოდში, დეესკალაციის ოთახში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განთავსდა და ამ კუთხით, მისი უფლებების დარღვევა არ დადასტურდა.

**სამართლებრივი დასაბუთება**

პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, სხვისი და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, პენიტენციურ დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, დასაბუთებული გადაწყვეტილებით ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ

შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების სხვადასხვა სახის ღონისძიებები,[2] მათ შორის, სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება.[3]

უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.[4] დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.[5]

თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის ან/და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.[6]

ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა.[7]

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფრთხის არსებობისას და ამ მუხლით დადგენილი წესით პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა შეზღუდული არ არის.[8] დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა.[9]

## წინამდებარე საქმის ანალიზი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახში მოთავსების მავნე პრაქტიკაზე. სახალხო დამცველის რეკომენდაციით, დეესკალაციის ოთახი, როგორც უკიდურესი ზომა, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ სათანადო დასაბუთებით, არა უმეტეს 24 საათისა, და მულტიდისციპლინური მუშაობის პირობებში. მიუხედავად გაცემული

---

[2] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 57, ნაწილი 1.

[3] იქვე, „ბ" ქვეპუნქტი.

[4] იქვე, ნაწილი 2.

[5] იქვე, ნაწილი 5.

[6] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 1.

[7] იქვე, პუნქტი 4.

[8] იქვე, პუნქტი 5.

[9] იქვე, პუნქტი, 6.

რეკომენდაციებისა, კვლავაც ხშირია პატიმრების დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსების შემთხვევები, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.[10]

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დეესკალაციის ოთახისა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა.[11]

დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმისა და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად.[12]

დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად უნდა განისაზღვროს 24 საათი და იმ შემთხვევაში, თუ 24 საათის შემდეგ არ აღმოიფხვრება დეესკალაციის ოთახში ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად.[13]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ნებისმიერი დისციპლინური სახდელი, თავისი ფორმით, თავსებადი უნდა იყოს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებთან. თავისთავად, დისციპლინური სახდელის გამოყენება, ცხადია, არ გულისხმობს მე-3 მუხლის დარღვევას, თუმცა, მისი პროპორციულობა, აგრეთვე, განთავსების პირობები, ნამდვილად შეიძლება მოექცეს არასათანადო მოპყრობის აკრძალვით დაცულ სფეროში.[14]

ამასთან, ამგვარი ზომის გამოყენებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული პატიმრის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, მისი პიროვნება, დარღვევების სიხშირე და არ

---

[10] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 56.
საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, 41-42.
[11] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, 70.
[12] იქვე.
[13] იქვე.
[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ no. 1704/06, § 82

შეიძლება, სხვადასხვა გამოსაყენებელ ზომას შორის ყველაზე მკაცრი ღონისძიების შერჩევა, საქმის გარემოებების სათანადო შეფასების გარეშე.[15]

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს სტანდარტები მიემართება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დისციპლინური სასჯელების გამოყენებას, ხოლო ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტმა, მონიტორინგის შედეგად საქართველოში დეესკალაციის ოთახების 72 საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა შეაფასა, როგორც დე ფაქტო დასჯა. ამასთანავე, კომიტეტმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი გამოკითხული პატიმრისთვის დეესკალაციის ოთახში მოთავსება აღიქმებოდა, როგორც მათ მიერ გამოვლენილი რთული ქცევის საპასუხო სასჯელი. [16] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ 2018 წელს საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების დრო არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე საათს. მიუხედავად ამისა, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებული განთავსების ვადად, კვლავ 72 საათია განსაზღვრული. ამასთანავე, არ არის შეზღუდული დეესკალაციის ოთახში პატიმრის განმეორებით მოთავსების რაოდენობა.[17]

ამგვარად, ევროპული სასამართლოსა და წამების პრევენციის კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტებითა და შეფასებით, დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსება, ერთი მხრივ, კანონით გარანტირებული მიზნის გვერდის ავლით ხდება, ხოლო მეორე მხრივ, კვლავ გრძელდება დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად მოთავსების პრაქტიკა, რაც, კომიტეტის მოსაზრებით, არის აშკარად არაპროპორციული შეზღუდვა და ეს პროცედურა, სრულად სამედიცინო პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, სადაც საკითხი პატიმართა მენტალურ ჯანმრთელობას ეხება, სასამართლო მუდმივად აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, რომ პატიმართა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დაიცვას და უზრუნველყოფილი იყოს სათანადო სამედიცინო მომსახურება.[18] ამ კონტექსტში, ეს ვალდებულება შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოს მოვალეობაზეც, რომ მოახდინოს მენტალური ჯანმრთელობის მქონე პატიმრის გადაყვანა შესაბამის დაწესებულებაში, რათა უზრუნველყოს ადეკვატური მკურნალობა.[19]

აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის კომიტეტის ზემოხსენებული დასკვნაც შესაბამისობაშია ევროპული სასამართლოს ამ სტანდარტთან. ისეთ შემთხვევაში, როდესაც

---

[15] იქვე, § 83.

[16] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 94, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: https://rm.coe.int/1680945eca

[17] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 94

[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე სლავომირ მუსიალი პოლონეთის წინააღმდეგ no. 28300/06; § 87.

[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე მარი ნიდერლანდსის წინააღმდეგ *no. 10511/10* [GC], § 105;

პირის დეესკალაციის ოთახში განთავსება, მისი „აღელვებული“ მდგომარეობიდან გამომდინარე, რამდენიმე დღის განმავლობაში გადაბმულად ხორციელდება, ცხადია, წარმოიჭრება საკითხი, რამდენად უნდა იყოს ეს პროცედურები სრულად პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების თანამშრომლების კონტროლის ქვეშ და, სინამდვილეში, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი, ძირითადად, სამედიცინო პერსონალი ხომ არ უნდა იყოს.

ზოგადად, თავისუფლების აღკვეთის პირობები, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს ადამიანში იმგვარი შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების განცდას, რომელიც დაამცირებს ან ღირსებას შეულახავს ადამიანს, მის ფიზიკურ თუ მორალურ მედეგობას დააკნინებს. სასამართლო ამ კონტექსტში აღნიშნავს, რომ პირები მენტალური აშლილობებით უფრო მოწყვლადი არიან სხვებთან შედარებით და უფრო მაღალი რისკია, რომ დაიტანჯებიან მომეტებული სტრესისა და შფოთვის ფონზე. ამგვარი მდგომარეობა კი ზრდის ყურადღების საჭიროებას სახელმწიფოს მხრიდან. [20]

ამგვარად, იმ პირობებში, როდესაც საჯარო უწყებების ვალდებულებაა, რომ ყველა თავისუფლებააღკვეთილი პირის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე იზრუნოს, გაუგებარი და მიუღებელია სახელმწიფოს პრაქტიკა, განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში პატიმრის ხანგრძლივი და განმეორებითი განთავსების სახით, რომელიც, არც თეორიულად და არც პრაქტიკაში არ ემსახურება პატიმრის ინტერესებს და აშკარად მის დასჯაზეა ორიენტირებული.

სამწუხაროდ, ჩვენ მიერ გაცემული რეკომენდაციები, დღეის მდგომარეობით არ შესრულებულა და პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესაბამისი ცვლილებები არ განხორციელებულა, რაც ხელს უწყობს მანკიერი პრაქტიკის გაგრძელებას.

სახალხო დამცველმა, ამ მიმართულებით გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ბერკეტი და ბრალდებულების/მსჯავრდებულების დეესკალაციის ოთახში განთავსების მომწესრიგებელი ნორმების არაკონსტიტუციურობის თაობაზე, შესაბამისი სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.[21] კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანია პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული, პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების წესებისა და პირობების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

წინამდებარე საქმის ანალიზი, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას. [redacted], ერთი კალენდარული თვის

---

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე რუმანი ბელგიის წინააღმდეგ no. 18052/11; [GC], § 145.

[21] <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12023> [ბოლოს ნანახია: 29.12.2022].
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის საოქმო ჩანაწერით, საქართველოს სახალხო დამცველის N1637 კონსტიტუციური სარჩელი („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“) მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

განმავლობაში, ჯამში, 14 დღე იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში, რა დროსაც, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა როგორც თვითდაზიანების მიყენებას, ისე სუიციდის მცდელობას. მიუხედავად პატიმრის მხრიდან გამოვლენილი პროტესტის მწვავე ხასიათისა, მის მიმართ გამოყენებული იყო მხოლოდ ფიზიკური შეკავებისა და შეზღუდვის საშუალებები და ადგილი არ ჰქონია მასთან მულტიდისციპლინური ხასიათის მუშაობას, შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მონაწილეობით. კერძოდ, პატიმარს ამ დროის განმავლობაში, არ შეხვედრია ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი და არ შემუშავდა მისი ემოციური მდგომარეობის დეესკალაციის უფრო ეფექტიანი ტაქტიკა. მითუმეტეს, არ შეფასებულა მსჯავრდებულისთვის სამედიცინო დაწესებულებაში შესაბამისი დახმარების გაწევისთვის გადაყვანის საჭიროება. დაწესებულება შემოიფარგლა მხოლოდ პატიმრის ფიზიკური შეზღუდვით და უბრალოდ, დაელოდა მისი ემოციური მდგომარეობის ბუნებრივად მიწყნარებას, რასაც დასჭირდა რამდენიმე დღე. მსგავსი მიდგომის არაეფექტიანობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში, ორჯერ გახდა საჭირო [redacted] დეესკალაციის ოთახში გადაყვანა და მისი იქ რამდენიმე დღით დაყოვნება.

**საყურადღებო და საგანგაშოა ის გარემოებაც, რომ [redacted] ორივე შემთხვევაში, დეესკალაციის ოთახში კანონმდებლობით გათვალისწინებული, 72 საათიანი მაქსიმალური ვადის დარღვევით მოთავსდა. მართალია, დაწესებულების დირექტორის მიერ ფორმალურად გამოცემული იყო უსაფრთხოების ღონისძიების შეწყვეტის შესახებ ბრძანება, თუმცა, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში ვიდეომასალის დათვალიერებით ირკვევა, რომ [redacted] უწყვეტად იმყოფებოდა დეესკალაციის ოთახში. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, მან დეესკალაციის ოთახში 72 საათის ნაცვლად 143 საათი დაჰყო, ხოლო, მეორე შემთხვევაში - 186 საათი. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების დებულებით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი პატიმრის დეესკალაციის ოთახში ერთჯერადად განთავსების მაქსიმალური ვადა, მოცემულ შემთხვევაში, ეს ვადა დარღვეულია, რაც, როგორც სამსახურებრივი შემოწმების მასალებისა და [redacted] დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას შედგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, გამოწვეული იყო პატიმრის მწვავე ქცევიდან მომდინარე საფრთხეებით. გასაგებია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაწესებულების დებულებით დადგენილი ვადების ფორმალურად დაცვაზე უფრო პრიორიტეტული დაწესებულებისთვის იყო პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უსაფრთხოების ღონისძიების, თუნდაც, ვადის დარღვევით გაგრძელება, თუმცა, აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან მომდინარე შესაძლო საფრთხეების მართვის არსებული მოდელი არაეფექტიანია და სათანადო ცვლილებებს საჭიროებს.**

ამდენად, მიგვაჩნია, რომ პატიმრების დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და მათგან მომდინარე შესაძლო საფრთხეების განეიტრალების/აღმოფხვრის არსებული რეგულაციები არ არის ადეკვატური და ეფექტიანი, და ვერ პასუხობს ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს, რისი ნათელი მაგალითიც არის წინამდებარე საქმე.

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების წესის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტამდე, შეიცვალოს პატიმრის მდგომარეობის მართვის პრაქტიკა, კერძოდ: 1) დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ჩატარდეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად; 2) იმ შემთხვევაში, თუ დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში არ აღმოიფხვრება პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ №18 სამკურნალო დაწესებულებაში ან სხვა სამოქალაქო დაწესებულებაში, ადეკვატური სამედიცინო (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრიული) დახმარების მისაღებად.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.